



სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას  
ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაში  
ჩარევის ფარგლები ადმინისტრაციულ პროცესში

ლაშა გუგავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად*

საჯარო სამართლის და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილია წიკლაური, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაშა გუგავა  
2023 წელი

ხელმოწერა \_\_\_\_\_

## აბსტრაქტი

დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებით, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი გადაწყვეტილება, თუმცა აღნიშნული უფლებამოსილება ორგანოს მიერ შესაძლოა ბოროტად ან არასათანადოდ იქნეს გამოყენებული და დაირღვეს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები. შესაბამისად, სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს უფლება, შეამოწმოს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება, არსებითი მნიშვნელობისაა.

წინამდებარე ნაშრომი ეხება სასამართლოს მიერ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებაში ჩარევის ფარგლებს სასკ-ის 23-ე მუხლთან მიმართებით და მიმოიხილავს დისკრეციული უფლებამოსილების არსსა და მისი გამოყენების საკანონმდებლო რეგულირებას, აგრეთვე ნაშრომში განხილულია სასამართლო ჩარევის წესი და ფარგლები და მასთან დაკავშირებული სასამართლო პრაქტიკა.

წარმოდგენილი ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, შეგვესწავლა თუ რა წესით და ფარგლებში ერევა სასამართლო დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაში, რა შემთხვევაში უნდა მიიჩნიოს სასამართლომ, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასათანადოდ გამოიყენა მინიჭებული უფლებამოსილება და აღნიშნულის დადგენის შედეგად, როგორ აწესრიგებს სადავო საკითხს და რა საკანონმდებლო ხარვეზები არსებობს, რომლებიც შემდგომ პრაქტიკაში იჩენს თავს. შესაბამისად, აღნიშნულის გამოსაკვლევად ნაშრომში დეტალურადაა განალიზებული როგორც საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობა, აგრეთვე გამოყენებულია სასამართლო პრაქტიკის ანალიზის მეთოდი.

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ დღეს მოქმედი ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა ღიად ტოვებს დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევის საკითხის რეგულირებას და არაფერს ამბობს მისი განხილვის წესსა თუ ფარგლებზე, სასკ-ში დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები. შესაბამისად, სასამართლო

პრაქტიკის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოსთვის ბუნდოვანია დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევის ფარგლები და ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლო ირიდებს, მისთვის მინჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, ჩაერიოს მიღებულ გადაწყვეტილებაში და შეაფასოს მისი კანონიერება, რის საფუძველზეც ვიღებთ შედეგს, რომ ადამიანის უფლებები დაუსაბუთებლად ირღვევა, რადგან ადმინისტრაციული ორგანოები ზოგჯერ დაუსაბუთებლად ეუბნებიან უარს პირს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მიზეზით, რომ განსახილველი საკითხი მის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, ხოლო სასამართლო სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებს.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** ადმინისტრაციული ორგანო, დისკრეციული უფლებამოსილება, შეცდომა დისკრეციულ უფლებამოსილებაში, სასამართლო კონტროლი.

## Abstract

Discretionary power equips the administrative body with the right to choose the most suitable decision from several legal consequences, although the said authority may be misused or improperly used by the body and violate the constitutionally guaranteed human rights. Accordingly, the right of the court, as a judicial authority, to check the decision made within the scope of discretionary powers, is of essential importance.

Present master thesis deals with the scope of intervention in discretionary powers by the court in relation to Article 23 of Administrative Procedure Code of Georgia and reviews the essence of discretionary power and the legal regulation of its use.

The main goal of the presented work was to study how and within what limits the court intervenes in the discretionary authority of the body when making a decision, in which cases should it be considered, that the administrative body has improperly used the granted authority, and in the case of establishing the above, how it settles the disputed issue and what legal gaps that appear in practice. Accordingly, in order to figure it out, the present Master thesis analyzes in detail both the administrative legislation of Georgia, and also uses the method of judicial practice analysis.

According to the research carried out in the framework of the present work, it was determined that the current administrative legislation, it was established that the current administrative law leaves open the regulation of the issue of interference with discretionary power and does not say anything about the manner or scope of its consideration, discretionary power is mentioned only once in the Administrative Procedure Code of Georgia. Accordingly, after a review of judicial practice, we can say that, the scope of interference in the discretionary authority is not always clear for the court, and based on the principle of separation of powers, the court is avoiding to interfere in the decision made and assess its legality within the framework of the authority granted to it, based on which we get the result that human rights are unreasonably violated, because administrative bodies sometimes unreasonably refuse to meet a person's request because the issue under consideration belongs to its discretionary authority, and the court doesn't exercise proper supervision.

**Keywords:** Administrative body, discretionary power, error in discretionary power, judicial review.